

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მუხრანის საოლქოში. თვეური ხელის მომწერითვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

«ამათ ჰირველ უოვლისს ენდა დამტკიცონ ის, რომ საქართველო კონომიური მთე-ლია, რომ ის ამიერ-კავკასიის სავან კამოუოვილი კონომიურათ თავისი დონით განვი-თარღებ. ამის დამტკიცება კი უოვლად შეუძლებელია, ჰირი-ქით, საქართველოს კონომიური განვითარება უოვლად შეუ-ძლებელია ამიერ-კავკასიის ჩა-რისების გარეშე.»

განსაზღვრული ტერიტორია ანუ სასელმწიფო იფარგლება არა ნაციის მიხედვით, არამედ კონომიური საჭიროებისა. სა-სელმწიფო დღეს ჰირველ უოვ-ლისა კონომიური ძოვლენაა.

ნარიძე (ნ. შორდანი). ნაციონალური კითხვა ჩვენში. 1913 წ.

შრომის გზა

იმ კრახის თავიდან ასაცდენათ, რომელსაც ამ ეპოქა დღიურ წესრიგში დგას, სხვადასხვა ზომათა შორის მმართველი წრეები შრომის ბეგარასაც სწვდენ. უნდათ შემოიღონ საყოველთაო შრომის ბეგარა, რომ უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მუშა-მოსამსახურების სათანადო კაღ-რით. ეს ბეგარა შეეხება რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს.—18 60 წლამდე მამაკაცებს და 18—50 წლამდე დედაკაცებს.

პროფესიონალური კავშირების ცენტრ-მა უკვე ჭარბო სამინისტროს მიერ შედ-გენილი შრომის ბეგარის პროექტი. ასე-თივე უარყოფით შეხედა მას მენშევიკური პრესა. მაშასადამე, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ცხოვრება-ში არ გატარდება. მაინც საჭიროთ მი-გვაჩნია ორიოდ სიტყვით შევხებით მას.

შრომის ბეგარას დიდი ხნის ისტორია აქვს. მას აქვთ, რაც კლასთა ბრძოლა არსებობს, ის მშობი ტვირთთ აწვა მშრომელ ხალხს. ბურჟუაზიულ წყობი-ლებას ყველაზე უფრო იმით მოქონდა თავი, რომ მან განთავსებულა შრომა ყოველივე იძულებული და კაპიტალისტის და მუშა, როგორც თანასწორ უფლები-ანს მოქალაქეები, ნება-ყოფლობით სდ-ებენ ერთმანეთთან ხელშეკრულებას ამა თუ იმ საშუალოს პირობების შესახებ.

დიდი ხნიდან დამტკიცებულია, რომ ფა-რისევილობა ისეთ თავისუფლებას ლა-ბარაკი, როდესაც მუშა მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას თავი იჩინოს და ისე, მართლთა მართლ თავისი სამუ-შაო ძალის შესაქურთ, იძულებულია დასთანხმდეს იმ პირობებზე, რომელსაც მას კაპიტალისტი უკარნახებს, მართა-ლია მხოლოდ ის, რომ მუშა იურიდიულ-თ თავისუფალი იყო ხაზინი ამიერ-ჩია, ერთი მიეტოვებინა, მგორესთან გა-დასულიყო, თუ ამას ხელს არ შეუშლი და ხაზინებისაგან შედგენილი შავი სი-ები და მსგავსი ზოპები.

უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მოჩვენებუ-ლი იურიდიული უფლება მოიშალა მუშებისათვის და სამხედრო-სამრეწვე-

ლოების გაძლიერებასთან ერთად მუშები ვალდებული გახადეს ემუშავნათ იქ, სა-დაც მათ სახელმწიფო უბრძანებდა. ამ-ნაირათ, თუ მუშა-ყმა ფეოდალიზმის დროს ერთ ბატონზე იყო მიკრული, ახ-ლა ის მიკრული აღმოჩნდა სამრეწველო დაწესებულებებზე, რომელთა გამოცვლა მხოლოდ სახელმწიფოს ბრძანებით უნდა მომხდარიყო.

სოციალისტური რევოლუციის დროს, როდესაც პროლეტარიატი ხელთ იღებს სახელმწიფო ძალა-უფლებას და ახალ წესზე აწესრიგებს წარმოებას, შრომის ბეგარა აუცილებელი ხდება. ამაზე მიუ-თითებენ მარქსი და ენგელსი, რომელთა მიერ სხვა ზომათა შორის დასახელებუ-ლია «ერთნაირათ სავალდებულო შრომა ყველასათვის, დაარსება სამრეწველო არმიებისა, განსაკუთრებით მიწათმოქმე-ლებისათვის» (იხ. კომუნისტური მანისუ-სტის პარტული თარგმანი, გვ. 46).

მაშასადამე, შრომის ბეგარა შესაძლოა შემოღებულ და დაკანონებულ იქნას როგორც ბურჟუაზიულ, ისე პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ. ცხადია, რამ-დენათაც მიუღებელი და დაუსაზღვრელი პროლეტარიატის თვალსაზრისით ბირვე-ლი, იმდენათ მისაღები და მიზანშეა-ფერია მეორე. პირველი მიუღებელია, რადგან ამით პროლეტარიატი მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება და თავისთავს კიდევ უფრო ამონავებს; მე-ორე მისაღებია, რადგან ამით პროლეტარიატი თავის კლასს, და მთელი მშრო-მელი კატორიონის ინტერესებს ემსახუ-რება და მთელ ქვეყანას ანთავისუფლებს ყოველგვარი მონობიდან.

როგორია საქმე საქართველოში? აქ შემოღებული შრომის ბეგარა რომელ კლასს გაუწყებს სამსახურს—ბურჟუაზიის თუ პროლეტარიატს?

არსებული სახელმწიფო არ წარმოად-გენს პროლეტარულ სახელმწიფოს. თუნ-დაც ქვეყნის სათავეში «სოციალისტები» იდგენ, ეს არაფერს არ სცელს არსები-თად, სანამ ბურჟუაზია ხელშეუხებელია, როგორც მესაკუთრე კლასი და შრომის ექსპლოატორი ძველებურათ წარმოებს. ბურჟუაზიის კი, არსებულ პირობებში შრომის ბეგარა მხოლოდ ზედმეტ ბარგს აკიდებს და არსებითათ არაფერს სარგებ-ლობას არ მოუტანს. იმდენი უმუშევარია დღეს შრომის ბაზარზე, რომ ჩვენებურ წარმოების ისიც ვერ დაუბნანდება და ასეთ პირობებში შრომის ბეგარის შემო-ღება მოასწავებდა მხოლოდ უმუშევართა დაიშვებას, რომ ისინი უზრუნველყო-ფელი იქნებინათ სამუშაოთი. რათ უნდა აიტკივოს აუტკივარ თავი ბურჟუაზიამ როცა უამისოთაც მას მუშა-ხელი არ აქვია.

რაც შეეხება სახელმწიფო და საზოგა-ლო დაწესებულებებს, ისინიც მის მსგავს მდგომარეობაში არიან და არა თუ ვერ დაბანდებენ შრომის ბეგარის ვალდებულ პირებს, ზედმეტ ხარჯებს მიყენებენ სა-ხელმწიფოს საჭირო სიების შედგენაზე გაწეულ ხარჯებით. ამიტომაცაა რომ მარ-თველმა წრეებმა უკვე უარყვეს შრომის ბეგარის შემოღება.

შრომის ბეგარას წინ უნდა უძღოდეს სახელმწიფო მღერნეობა. ამისთვის კი საჭიროა, რომ ბურჟუაზიას ჩამორთმეულ ქონდეს საკუთრება საწარმოო სა-შუალებებზე. ჩვენ კი ჯერ არ მოგვეპო-ვევა პროლეტარული ძალ-უფლება და ასეთ პირობებში შრომის ბეგარის შე-მოღებას ჩვენ ენერგიულათ შევეპო-ვებით, როგორც რევოლუციურ ზომას.

არა შრომის ბეგარა, არამედ შრომის წარმომადგენლის, მშრომელი ხალხის პოლიტიკური ბატონობა.

მასაჟი ინტერნაციონალი უკრძალავს გერმანიას.

ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ იმ ბრწყი-ნვალე გამარჯვებას, რომელიც წილათ ხვდა კომუნისტურ ინტერნაციონალს გერ-მანიაში.

ქალაქ ჰალეში მომხდარ დამოუკი-დებელი სოციალისტური პარტიის კონ-გრესმა ხმის დიდი უმრავლესობით და-ადგინა შეუერთდეს მესამე ინტერნაცი-ონალს და ამიერიან კიდევაც მისი აღ-მასრულებელი კომიტეტის წევრათ ამხ. აღილუ ჰოფმანი. უმცირესობაში დარ-ჩენილ პარტიის მმართველ ელემენტებ-მა გეროგ ლედებურის მეთაურობით და-ახურეს ქულები და დასტოვეს კონგრე-სი: მოხდა რასკოლი. თავის მხრივ ამ გარემოებამ გამოიწვია ბუნებრივი აუ-ცილებლობით რასკოლი ავით პარტი-ის პარლამენტარულ წარმომადგენლობა-შიაც: დღევანდელ უმრავლესობის მხა-რეზე გადავიდა ოცდაორი დეპუტატი რეისტარის ყოფილი პარტიული ფრაქ-ციისა. მარა გერმანიაში ამას გარდა არის კიდევ ძლიერი კომუნისტური პარ-ტია, რომლის ორგანოა «წითელი დრო-შა». შეერთება ამ ორი პარტიის, რომ-ლებიც დღეან არცერთად მესამე ინ-ტერნაციონალს სოცდემოკრატიულ, შეად-გენს უახლოესი დროის აუცილებლო-ბას და ამ მომავალი დეკემბრისათვის განზრახულია კიდევ შემოერთებელი კონგრესი, რომელსაც უნდა შექმნას ერთი ძლიერი სექცია კომუნისტურ ინ-ტერნაციონალის გერმანიაში.

ჰალეში მომხდარი რასკოლით ორ-განიზაციულ ფორმებში ყალიბდება ის ორი მიმდინარეობა, რომელიც ვერ გა-მოვებარებოდა ყურადღებიდან დამოუკი-დებელი პარტიის ვერც ერთ მეთვალ-ყურეს დიდიან ამ პარტიის დაარსე-ბისა.

ამ ოთხნახევარი წლის წინათ, 1916 წ. მარტში, ვერდ წოდებული ოპოზიცია გერმანიის მაშინ კიდევ «მთლიანი» პარ-ტიისა, შემდგარი 18 დეპუტატისაგან გამოეყო რეისტარის სოციალ-დემოკრა-ტიულ ფრაქციას; იმ დროს ის სოლიდა-რტულ არ წარმოადგენდა იდეურ-პოლიტი-კურათ - ტაქტიკურათ ერთიან წრეს. საერთო მათ შორის იყო მეტათ თუ ნაკლებათ უარყოფითი დამოკიდებულე-ბა იმ ფაქტისადმი, რომ, ომის პროცეს-ში, იდეოლოგიური სოციალ-დემოკრატია შეიქმნა აშკარათ დამოკიდებული გერ-მანიის იმპერიალიზმისა და მთავრობი-საგან, რაც ფორმალურათ და ყველაზე უფრო დასაზნაბთ ინტერობა ბიუჯეტე-ბის დამტკიცებაში. ამ დამოკიდებულ პარტიას ვერ შეუზღვედნ ის ელემენტე-ბი, რომლებიც ფორმალურათაც პარ-ტიიდან გამოირიცხლნი, იძლებული შეიქნენ დაეარსებიათ თავისი სა-კუთარი ორგანიზაცია. აქცა ამ გა-თიშვის უნდა მომხდარიყო სწორედ იმ ქალაქში, სადაც, დიქქის ორმოც-და ხუთი წლის წინათ, დაიბადა ეიზენ-ხელბისა და მარქსისტებისაგან გერ-თიანებული სოციალ-დემოკრატული პარ-ტია გერმანიისა: ამნაირათ დაარსდა კ. გოტაში 1917 წელს, აპრილში, «გერ-მანიის დამოუკიდებელ სოციალისტების» (U. S. D.) პარტია.

ეს ახალი პარტია თავს უყრიდა იმ ქამდ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ელემენ-ტებს ერთი მხრით ვერდ-წოდებული «ცენტრისას» (კაუკი, ჰაზე, დიტმან) და მეორე მხრით «მემარცხენე რადიკალე ბისას» (ინტერნაციონალი-ს ჯგუფი;

ლიუქსემბურგი, მერინგ, ცეტკინ). მათ შორის ტაქტიკური ბრძოლა უკვე ომამ დე იყო დაწყებული, 1909/1910 წლებ-ში, იმპერიალიზმისა და მომავალი ომის წინააღმდეგ მასიური ბრძოლის საქი-როებისაგან გამოწვეული კითხვების ირ-გვლივ. ეს წინააღმდეგობა ურთიერთ შორის კიდევ უფრო გაღრმავდა დიდ ომთან დაკავშირებულ კითხვების გამო. მიუხედავათ ამისა, წინააღმდეგ «მემარცხენე რადიკლების» ერთი ნა-წილისა, რომლებიც შედიოდნენ ვერდ წოდებულ «გერმანიის ინტერნაციონა-ლური სოციალისტების» ჯგუფებში (ა. ქ. რადეკი და სხვ.) «ინტერნაციონა-ლის» მიმდევრები ვერ სცნობდენ დრო-ის შესაფერისათ ცალკე მემარცხენე პარტიის დაარსებას და ახლი რასკოლის გატარებას. ეს უნდა მომხდარიყო უფ-რო გვიან, როდესაც მისი შემადგენელი ელემენტებთაგან შეკავშირდა გერმანიის კომუნისტური პარტია, რომლის ორგა-ნოა დღეს «წითელი დროშა».

ჩვენ ვხედავთ ამნაირათ, რომ დამო-უკიდებლობის პარტიაში ძველი მოწინა-აღმდეგეები იყრიდნენ თავს, რომლებიც ადრე თუ გვიან უნდა დასცილებოდნენ ერთმანეთს, როგორც ეს კიდევაც მოხ-და. მარა ეს კიდევ ცოტაა. ამ პარტიის თვით მემარჯვენე ნაწილში, ყოველ «ცენტრის» ელემენტებშიაც, რომლებიც დღეს ჰალეში გაითიშენ, არ იყო ერთ სულფოვანება თვით დამოკიდებულე-ბა მემარჯვენეებთან (დავიდ, კუნოვ შეი-დკან შიპელ, ლენი.) და მათგან გამო-ყოფის მნიშვნელობა ორნაირათ ფასდე-ბოდა ამ ახალი პარტიის «ცენტრის» ელემენტებში.

ერთი, ვითამ უფრო «მემარცხენე-ბი», უმეტეს ნაწილათ ბერლინის, ჰალ-ლესი და ბრემენის, ორგანიზაციების წევრები იმ აზრის იყენენ, რომ წინააღ-მდეგობა პარტიულ უმრავლესობისა და ოპოზიციის შორის არის პრინცი-პიალური წინააღმდეგობა ბურჟუაზი-ული და პროლეტარული ტაქტი-კის შორის. ისინი აღიარებდენ სიტ-ყვით მაინც, რომ მემარჯვენეობა და მემუტირესეთა პოზიციები არიან შე-დგე ორი სხვა-და-სხვა სისტემის და მსოფლმხედველობის, რომ ერთი მხრით ჩვენ საქმე გვაქვს «სახელმწიფოებრივ» თვალსაზრისამდე «ამდლებულ» პარ-ტიის უმრავლესობასთან, რომელიც მი-ზნათ ისახავს რევოლუციის გატარებას მარა არსებული ინსტიტუტების შენარ-ჩუნებით, მათი «დააჩინებით», მეორე მხრით კი—და ამაში გულისხმობდენ მთელ ოპოზიციას—ინტერნაციონალური სოციალისტების, კლასთა ბრძოლის, პრო-ლეტარიატის დიქტატურის მალიარებულ უმცირესობასთან.

კ. კრედი. (დასასრული იქნება)

საბჭოთა რუსეთის პრესა.

ინგლის-იაპონიის კავშირი.

ენლა მთელი შორეულ-აღმოსავლეთის პრესა ინგლის-იაპონიის კავშირის განა-ხლების განზრახვასე ლაპარაკობს. ინ-გლის-იაპონიის კავშირის შესახებ კით-ხვა—ღილურ წესრიგშია დასმული. ეს კითხვა ლონდონისა და ტოკიოს დიპლო-მატიების გაცხარებულ აზრთა გაცვლა გამოცვლის საგნათ არის გადაქცეული. მაგრამ ამ კითხვის გადაწყვეტა ვაჭი-ანურდა დასავლეთში დაწყებულ ამების გამო.

იაპონიის პრესა ერთად, შეხმატე-ლებული ამტკიცებს საჩქაროთ ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებაზე ხელის მო-

წერის აუცილებლობას. და წინააღმდეგ ინგლისური შორეულ აღმოსავლეთის პრესა კი თავშეკავებით და დიდის სიფ-რთხილით უყურებს ამ კავშირის შესა-ხებ კითხვას. სამი წლის წინათ 1915—1916 წლებში საქმის ვითარება სულ წი-ნააღმდეგ იყო: მაშინ სამხედრო პარტია განცვიფრებული იყო გერმანიის თავშე-კავებით და დისციპლინით და ამ პარ-ტიის ზოგო წარმომადგენლები მზათ იყვნენ ევროპაში გერმანიის გადაცემო-და ის, რისთვისაც გერმანია იბრძოდა და იაპონია კი დაეცაყოფილებით ავ-სტრალიით და აზიის ნაპირებით («ჯა-ნან-ტიანისი» 8 მარტი 1916 წ.) მაგრამ ენლა დრო შეიცვლება.

იაპონიის იმპერიალიზმში მჭიდროთ არის გადაჯაჭვული მოკავშირეებისაზე, და «გამარჯვებულების» მიერ ნადავის გაყოფის დროს ნათელია ის ბრძანო-ფილური კამანია, რომელიც სწარმო-ებს, როგორც ეტყობა, ტოკიოს საგარეო სამინისტროს დავალებით, მისი შეკვე-თის წყალობით.

ხარის მთავრობას კარგათ აქვს გა-თვალისწინებული ენლადაკლი სავრთა შორისო მდგომარეობა. მას ცხადათ აქვს შეგნებული ლონდონის ხელმძღვა-ნელობის მნიშვნელობა, მისი როლი. მი-სთვის ცხადია, რომ მისი ევროპიელი მოკავშირეები—ინგლისი და საფრანგე-თი—მეტათ ჩაეფლენ ევროპის საქმეში და თითქმის უძღლური არიან აღმოსა-ვლეთ აზიაში. თუ ამას მიუკითხვით ხა-რის (იაპონიის პრეზიდენტი მინასტრია) უკ-მაყოფილებას იაპონია ამერიკის დამო-კიდებულებების გამო, ამ შემთხვევაში გასაგები ხდება ის როტებები, თუ რის-თვის არის საჭირო ხარისათვის ინგ-ლის იაპონიის კავშირი.

მაგრამ ლილდ ჯორჯი მანც და მაინც არ ჩქარობს გამოამცლმუნოს თავისი უძ-ლურება შორეულ აღმოსავლეთში და ამით ხელი გაუხსნას თავის იაპონელ «მეგობრებს» აღმოსავლეთ აზიაში სა-მოქმედლოთ. იმპერიალისტურ მტაცე-ლებმა ძლიერ კარგათ იციან ერთი მე-ორის ამბავი და ძლიერ ნაკლებ სჯე-რათ ერთი მეორის მტვიცებები «ქე-თილ სურვილებზე». იაპონიის პრესას ეს, რასაკვირველია, არ უნდა რომ გაი-გოს. ის ეძებს მხოლოდ თავისი მტე-რის საიდუმლო განზრახვებს...

მაგალთოდ, გახ. «ჯაპან-ტიანისი ენდ-მაილი» სწერს: «გერმანიის ავტორიტე-რებმა უკვე დაიწყეს მუშაობა. იაპონია-ში და ცხადია ველიკობრიტანიაში (ინ-გლისში) შევიდა ლიტერატურის ნაკა-ლები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეს კავშირი იმ ქალაქდათაც არ ღირს, რო-მელხედაც ის დაწერილია.

ზოგიერთები მიმართავენ ბრიტანელებს საღ გონიერებას, და ილაშქრებენ იაპონიის წინააღმდეგ იმ მიზნებისათ-ვის, რომლებიც ვითომდა იძულებულს ხდიან იაპონიის განახალოს ინგლისთან კავშირი—თ. სხვები კი მტრეთა საბჭო-თა რუსეთში ეძებენ. ინგლის-იაპონიის კავშირის მთავარი ობიექტი (საგანი) არის და იყო ჩინეთი, რომელიც, ამ ხელშეკრულების ძალით, უნდა იქნეს იაპონია-ინგლისის შეერთებული ძალ-ების «მფარველობის» ქვეშ. მაგრამ ეს «მფარველობა» არ სიამოვნებს ჩინეთს და არც სურს ამ «მფარველობის» გა-გრძელება. აი რას ლაპარაკობს ამის შე-სახებ სუნ-იატ-სენი (ჩინეთის რესპუბ-ლიკის პირველი პრეზიდენტი, კონსტა-ტუციონალისტი და სამხრეთელების ლი-დერი): «ამ კავშირის განახლება ზიანს მოუტანს ჩინეთს. ჩინეთის გუფებარია, რისთვის უნდა დაეხმაროს ინგლისი ია-



დღიური.

ყირიმის ფრონტზე წითელმა ჯარმა აიღო ქ. გულიაი-პოლე, ბერესტოვო, ნოვოსპოსოვსკაია და პეტროვსკაია.

მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის სამხედრო დიპლომატიური მისია.

იტალიაში დაიწყო სახლების დატაცება. რევოლუციონური მოძრაობა ფართოვდება. მუშებმა უკან დააბრუნეს პოლონეთში გასაგზავნი ამანათები.

რევოლუციონური მოძრაობა ინგლისში იზრდება. გაფიცულია მილიონ ნახევარი მუშა. ეწყობა საგანგებო კომისია მთავრობასთან საბრძოლველად. მოათხოვენ მუშათა კონტროლის შემოღებას.

პონიას თავის აგრესიულ პოლიტიკაში.

ყველა ჩინელები იაპონიის წინააღმდეგ არიან და თუ ინგლის-იაპონიის კავშირი მართლაც შედგა, ჩვენ ამგვარათვის ვიქნებით ინგლისის წინააღმდეგ. ჩინელები—მშვიდობის მოყვარული ერთ არის. რისთვის არ უნდა ვახადოს ინგლისმა ჩინეთი ბუფერულ სახელმწიფოთა იაპონიასა და ინდოეთის შორის. განა ინგლისი ვერ ხედავს იმას, რომ იაპონიის სურს მოიპოვოს კანტონის უფლება ჩინეთის ბუნებრივ სიმიდობაზე: ნახშირზე, რკინაზე, ხალხზე, რომ ამით იბატონოს მთელს აზიის კონტინენტზე და მისი, რასაკვირველია შეუძლებელი იქნება მშვიდობიანობა ინგლისსათვის. ის სახელმწიფო, რომელიც კანტონს გაუწევს წყარო კავშირს ნახშირს, ის იმავე დროს კანტონს გაუწევს მთელს ქვეყანას. იაპონია მანამ უსძლებს თავის კოლონიას ვახადოს ავსტრალია. ხელში ჩაიგდოს კანადა, სამხრეთ-აფრიკა და აგრეთვე ინდოეთი განათავისუფლოს ინგლისის ბატონობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია ეხლა ინგლისთან შევკრათ შეტევათი ან თავდაცვითი კავშირი, მაგ-

რამ ჩვენ შეგვიძლია გავაფრთხილოთ ისრა—დაათავა თავისი სიტყვა დოქტორ სუნ-იატ-სენმა.

შეიძლება აქ მოყვანილ დოქტორ სუნ-იატ-სენის სიტყვებში არის გადამეტებული მომენტები, მაგრამ ცხადია, რომ ჩინეთისათვის ინგლის-იაპონიის კავშირი სასიკვდილო მასურება, რომლისგან ჩინეთს სურს რაღაც არ უნდა დაუჯდეს ეს თავის განთავისუფლება. ახალი, გამოვლენების გზაზე შემდგარი ჩინეთი კარგათ გრძნობს ინგლის-იაპონიის კავშირის რეაქციონერობის მნიშვნელობას. ამიტომ ამ კავშირის საწინააღმდეგო ბრძოლას აღმოსავლეთ აზიის ხალხებისათვის დღიურ ღონისძიებათ აცხადებს. შორეულ აღმოსავლეთში ერთი მეორეს შეეტაკენ საერთაშორისო იმპერიალისტების ინტერესები, აღმოსავლეთ აზიის მშრომელებმა უნდა გამოიყენონ ეს შეტაკება თავის კლასობრივ ინტერესების სასარგებლოდ და ამგვარათ რევოლუციონური სოლი უნდა ჩაარკონ ხოლმე უკვე გამოჩენილ ნაპრალებში.

ვლ. ვილენსკი-ხიბრიაკოვი. გაზ. „იზესტია“ № 199.

უფრო მნიშვნელოვანი: დაამსხვროს პროლეტარული ფრონტი. მოავლინოს ჯიოლიტი ქვეყნის მხსნელად და შუა-კაცათ მებატონებდა და მუშების შორის, დაახლოვოს ივინი თანამშრომლობაში ფაბრიკებ შივნიით და აგრეთვე სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე.

მაგრამ ამ საერთაშორისო და შინაური კრიზისის დრო პრემიერ მინისტრის მოხდენილი ფანდი გამარჯვებით არ გვირგვინდება. ბრძოლა სწარმოებს დღეს არა კაპიტალისტური ექსპლუატაციის ფორმების გამო, რამედ—თვით ექსპლოატაციის მომავალში ყოფნა-არყოფნის საკითხზე. მებატონების უფლებები იმდენათ შერყეულია, რომ ეს უკვე აშკარაა. პროლეტარიატი თავს არ იტყვივს იმისთვის, რომ ეკრძოთ საკუთრების უფლება კიდევ არსებობს კანონების კრებულში. მან იცის, რომ ამ კანონს წინ დაუყენეს რევოლუციონური ძარდატანება, დაიპყრეს რევოლუციონურა გზით ფაბრიკები. ამანართ ჩვენ არსებითათ წმინდა პოლიტიკურ პრობლემის წინა შე ვლგავართ.

სამხედრო მზადება რეინისპირის ოლქში.

რეველი, 18 ოქტომბერი. „ფორფერტი“ დაბეჭდილია ერთი რეინისპირის დეპუტატის წერილი, რომელიდან სჩანს, რომ ამჟამათ იქ ანტანტას 150 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ჰყავს. იმას გარდა საფრანგეთი და ბელგია რაღაც საომარ ზომებს ღებულობს, ეზადებიან ფრიად ფართო მასშტაბის აპერაციებისთვის. მაგალითად, ტრიბში ააშენეს საველე ფურე, რომელშიც გამოცხვება 400 ათასი კაცის გამოსაცხვები პური დღეში; აშენებენ აეროდრომებს, საზღვდრო საფარჯიშო ფლაცებს, ყაზარმებს, ამუნიციის საწყობებს და სხვა. მობერებულ ადგილებში მდ. რეინზე აშენებენ ბიდებს.

დადგა დრო.

რეველი, 12 ოქტომბერი. კაშენი, აგვიწერს რა „ჰუმანიტეში“ რუსეთის რესპუბლიკის მძიმე მდგომარეობას, აცხადებს, რომ დადგა დრო, როცა საფრანგეთის პროლეტარიატი გადამწყვეტ და უშუალო მოქმედებას უნდა შეუდგეს. „მასტანე იმავე გაზეთში შესამე ინტერნაციონალთან შეერთებას მოითხოვს.

მთავრობა თავს იმართლებს.

რეველი, 16 ოქტომბერი. არეულობების გამო, რომელიც გამოწვეულია ირლანდიაში მთავრობის ტერორით, ბრიტანის მთავრობა იძულებული შეიქნა ოციციალურათ ელიარება, რომ იგი ვითომ არ ხელმძღვანელობს ირლანდიაში წარმოებულ მკვლელობებს და არც ამართლებს რეპრესიებს.

ლიბერალების და მემარცხენეთა პრესა სავსე საყვედურებით მთავრობის წინააღმდეგ ირლანდიაში მომხდარ სისაძაღვების გამო.

ამ ამბების გამო „დეალი გაროდის“ მოწინავეში სწერია: „ყველა აწიოკებულა, თვითნებობას მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება, ამასობაში, მთავრობა—კი, რომელსაც სხვა ჭიასმართლებელი არ აქვს გარდა იმისა, რომ იგი „მთავრობას“ წარმოადგენს. ე. ი. რაცხა თავის თავს „მმართველად“, გვერდზე გამდგარი და გაიფრულოთ, ცინიკურათ იღრიკება. და ყოველივე ამას იმითმ ჩადიან, რომ ირლანდის ხალხს სურს განთავისუფლდეს სხვისი უღლისაგან.

ბურჟუაზია ცახცახობს რევოლუციის მოლოდინში.

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. გაზ. „ფრეიხეტი“ 1 სექტემბრიდან სწერს: „როგორც უპასუხებელი ლონდონის გაზეთები იუწყებინ, ამ ყაბათ მიელს ამერიკაში საშინელი ნადირობა სწარმოებს ყველა სოციალისტებზე, მასთან განსაკუთრ. სიმკაცრით დენიან „მუშათა საერთაშორისო კავშირის“ წევრებს; არა მარტო გამოჩენილი ხელმძღვანელები, არამედ უბრალო წევრებიც—კი ამ პარტიისა დატუსაღებულ არიან. მაგრამ თავადებულ რეაქციის ველური წაწალი ჯერ-ჯერობით მის სულს ჩამდგმელებს სრულიად მოულოდნელ შედეგებს უმკომუნისების იდეალები ქაზრათ ეჭვევა ედინება ხოლმე მთელ მასების სიგრძე სიგანეგრეში და ბირეების ხელისუფლები თვით ევლინებთან იმედების

მებადგებლებათ, რომელთა განხორციელება მათი ბატონობის ბოლოს ნიშნავს ამ მხრივ ფრიად საუფლისხმოა, რომ პარლამენტის სოციალისტ დეპუტატები, გაძევებულნი პარლამენტადან წლის დასაწყისში, ხმების დიდ უმრავლესობით არჩევნებში კვლავ გავიდნ ახლა. ეს პირველი გაფრთხილებაა ამერიკის მილიარდების და მთ მონა-მორჩილ ხელქვეითის—ვაშინგტონის მთავრობის მიმართ“.

ბავშვთა სახლები

მოსკოვი, 18 ოქტ. ს. რ. ც. აღ. კ. დადგენილების თანახმათ ბავშვთა დაცვის განყოფილების მიერ გახსნილია და იხსნება 34 გუბერნიაში 100 ბავშვთა სახლი 6,000 ბავშვისთვის.

ემიგრაცია პალესტინაში

ბათუმი, 24 ოქტ. ყირიმში და მოსულ ცნობებით პალესტინაში საემიგრაციონო მიმავალთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. კომიტეტი, რომელიც ემიგრაციის საქმეებს განაგებს, საგუბა ნება-რთვის დოკუმენტების თხოვნებით.

აფეთქება სიმფეროპოლის სახელმწიფო ხაზინაში.

ბათუმი, 24 ოქტ. ყირიმის გაზეთების ცნობით, 29 სექტემბერს, სიმფეროპოლის სახელმწიფო ხაზინის განყოფილებაში აფეთქება მოხდა. ამფეთქებლები ვერ იპოვეს.

მრეწველობის მდგომარეობა ესტონიაში.

მოსკოვი, 20 ოქტომბ. „ეკონომიურ ცხოვრებაში“ ესტონიის მრეწველობის შესახებ შემდეგი ანგარიშია მოთავსებული:

„ამ ყაბათ ქალაქის ფაბრიკაში, რომელიც 600,000 თითის ტარით არის მოწყობილი და ევროპის კონტინენტზე უდიდეს ფაბრიკას წარმოადგენს, მუშაობს 2,700 მუშა. ომამდის კი ფაბრიკაში მომუშავეთა რიცხვი 12,000 უდრიდა. აქციების 25 პროცენტი გერმანიის კაპიტალისტების ხელშია, 30 პროცენტი ინგლისის და 45 პროც. რუსების ხელში. სათადარიგო ნედლი მასალა ხუთი თვის სამყოფია.

ყველაზე უფრო დიდი კანაფის საკეთებელი ფაბრიკა არის ნარვის ფაბრიკა, მაგრამ ნედლი და სათბობ მასალების უქონლობის გამო ესეც უქმნათ არის. ამ ფაბრიკების ასამუშაველად ესტონიის მთავრობამ გადაწყვიტა, საზღვარ გარეთ გასატან ნედლი მასალიდან რამდენიმე ნაწილი დაუთმოს მეფაბრიკებს. ესტონიაში არის 18 ტყავის ქარხანა, რომლებიც თვეში 250 ათას ტყავს ამუშავენ, მაგრამ მათში ძალიან სუსტი ნედლობაა, ცოტა საქონელი მზადდება ნედლი მასალის სიმცირის გამო.

სამი მსხვილი გემთა-სააღმშენებლო ქარხანა ესტონიაში, მთ რიცხვში რუსეთ-ბალტიის ვერფი, დიდ კაპიტალს საჭიროებს, რომ სრულიად აღსდგეს. რუსეთ-ბალტიის ვერფმა მთავრობის წინაშე შეამავლობა აღძრა, რათა ნება დართოს მთავრობამ მას ზოგი რამ ვერფზე გაყიდოს და აღებული კაპიტალით დაამთავროს ქარხნის მოწყობა და მუშაობა განახლოს.

თუჯის ქარხანაში „ილმარინენი“ უკვე დაიწყო მუშაობა. იგი ამუშავებს 360,000 ფუთს ძველი რკინისა და თუჯისას, რაც ესტონიაში საქმათ ბევრია.

სპირტის წარმოება.

ბეტერბურგი, 20 ოქტომბერი. პეტერბურგის სპირტის ყოფილ საწყობში მოაწყვეს სპირტის ქარხანა. ქარხანა პირველ ნომბრიდან დაიწყებს მუშაობას: მშათა აქვთ დამამუშაველი ქარათოფილი. გამოანგარიშებულია, რომ გადააბრუნებენ 60 ათას ფუთ ქარათოფის, რაც დატოვებს 5,000 ვედრო სპირტს.

დინამიტის მოსპობა.

ადესა, 15 ოქტომბერი. „პრიზივი“ იუწყება, რომ კარაკუსაში საფრანგეთის გემზე „ვიკინგ“, იტალიის ნავთსადგურის გამგებობის მიერ აღმოჩენილ იქნა 100 ფუთი დინამიტი, რომელსაც პოლონეთში აგზავნიდნ. იტალიის სამხედრო მმართველების განკარგულებით, გემი იტალიის ნავმოსნებმა გაიყვანეს ზღვაში და დინამიტები ზღვაში გადაუყარეს.

სახლების დაპყრობა იტალიაში.

პეტერბურგი, 15 ოქტომბერი. იტალიის გაზეთები იუწყებინ, რომ რომში მილანში და სხვა დიდი ქალაქებში სახ-

ლები მებატონებენ ჩამოართვენ. საბაბათ მოსალოდნელ ბინის კრიზისის ასახელებენ.

ჩინეთის მისია მოსკოვში.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოსკოვში ჩინეთის სამხედრო—დიპლომატიური მისია გენ. ჯან სუილინის მეთაურებით ჩამოვიდა: მისიის მიზანია საბჭოთა რუსეთის გაცნობა და ნორმალური პოლიტიკური და საგარეო ურთიერთობის აღდგენა რუსეთსა და ჩინეთს შორის.

ამ საკითხების განსახილველად მისიის თანდასწრებით „ნარკომინდელის“ კოლეგიის აშხ. ჩინური და კარახანის მიერ ჩამოდენილ სხდომა მოეწყო 2 ოქტომბერს ჩინეთის მისიის თავმჯდომარეს ჯან-სუი-ლინს ვადაცეს ჩინეთის მთავრობისთვის წარსადგენათ მემორანდუმი, რომელშიც დალაგებით ნაღარებია ჩინეთის რესპუბლიკის და რ. ს. ფ. ს. რ. პოლიტიკურ შეთანხმების ძირითადი პრინციპები.

6 ოქტომბერს ჩინეთის მისიამ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის აშხ. ლევევას თანდასწრებით სათბირი გამართა, რომელზედაც ქამომიშუაგეს ამ ორ რესპუბლიკათა შორის ვაჭრობის აღდგენის პრინციპები.

პოლონეთში გასაგზავნი ამანათების უკან გაბრუნება.

ადესა, 15 ოქტომბერს, რომიდან „პრიზივი“ იუწყება, რომ რამოდენიმე ათასე საფოსტო ამანათი, რომელიც საფრანგეთიდან პოლონეთში იგზავნებოდა ტურინში რკინის გზის მუშებმა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურებმა დააკავეს, უარი განაცხადეს მათი პოლონეთში გაგზავნაზე და ისევ საფრანგეთში გააბრუნეს.

ინგლისის მრუდე პოლიტიკა.

რეველი, 18 ოქტომბერი. ბურჟუაზიული გაზ. გამბურგის კორესპონდენტი გრძელ წერილში აღწერს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ რუსეთისადმი ინგლისის პოლიტიკის მუდმივ რყევას: რით იხსნება ეგ დაუსრულებელი მიხვეულ-მოხვეულობა?—კითხულობს გაზეთი. რაა მის მიზეზი, რომ ლიოდ-ჯორჯი რუსეთის საკითხში დღემდის მტკიცე გადაწყვეტილებას ვერ ადგება, მერყეობს? პასუხი სულ უბრალოა. ლიოდ-ჯორჯს ერთსა და იმავე დროს კიდევ ეშინია რუსეთის და კიდევ ვერ რჩება მას, ესაჭიროება იგი. ინგლისს რუსეთის მხრივ სერიოზული ხიფათი ემუქრება, მაგრამ მას, ინგლისს, არ ძალუბს აშკარათ შეებრძოლოს ამ მტერს იმით, რომ ეს მებრძოლება რუსეთთან მსგვე დაზარალებს, მოსალოდნელ საფრთხეს ამით მიუახლოვებს. ინგლისის ბედი მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთთან, ვერ მორჩება ამ საქონლის სასასაღებელ უღედეს ბაზარს, ამ ნედლი მასალის ევებერთელა—დაუშვრეტელ რეზერვარს.

თანამედროვე მომენტის ნამდვილ დამახასიათებელ სახეს წარმოადგენს ისე რომ პოლიტიკური ინტერესები აიძულებენ ინგლისს რუსეთთან ომი აწარმოვოს, ხოლო მისა სოციალისტო ინტერესები—კი მშვიდობიანობას. ინგლისის ვაჭრები თავს არ იტყვივენ სხვა და სხვა პოლიტიკურ კომბინაციების გამო: ისინი შეუწყველათ შილტვიან მხოლოდ ერთი მიზნისკენ—რუსეთთან დაახლოვებისაკენ. გერმანიის კომერსანტებისათვისაც არ იქნებოდა ურიგობა, რომ მათ მიეზაბათ თავის ინგლისელ თანამომკებებისათვის“.

დეპუტატ ვიენბერგერის დტყვევება.

რეველი, 15 ოქტომბერი. ბაგარის დამოუკიდებელთა მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი, რეინსტაგის დეპუტატ ვიენბერგერი კლასობრივი შულის გამღვივებისთვის მიუხეზნში დაატყვევდა ორი წლის ციხე მისუჯის. სახალხო სასამართლომ ვიენბერგერის იმშენი ტეტზე უარი განაცხადა, როგორც რეინსტაგის წევრზე.

გაფიცულთა გამარჯვება.

რეველი, 18 ოქტომბერი. ბერლინის ელექტრონის სადგურის მუშების გაფიცვები გაფიცულთა გამარჯვებით დასრულდა: გაფიცულთა ალთუქვეს მშალა მოთხოვნილებათა დაქაყოფალება—მათ შორის—კარეკარეისთვის საათიან სამუშაო დღის შემოღება.

ბიულეტენი პრესგოპროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

მდ. მოსკოვის მიდამოების ნახშირი.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ამა წლის სექტემბერში მდ. მოსკოვის მიდამოებში დაამუშავეს 4,125,000 ფუთი ნახშირი, მისი როდესაც შარშან სექტემბერში 1,472,000 ფუთი იყო დამუშავებული. ამანართ მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდა 180 პროცენტით. 1920 წლის გაგვილ 9 თვეში დაამუშავეს 27,000,000 ფუთი ნახშირი, როდესაც შარშან მთელ წელიწადს დაამუშავეს 23,672,000 ფუთი.

მოსკოვის და პეტერბურგის უზრუნველყოფა პური.

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა მოსკოვისა და პეტერბურგისათვის საჭირო ხორბლის დატვირთვა-გადასახიდათ ყოველ დღიურ მთავალყოფობისათვის აირჩია კომისია. კომისიის ველებმა სასწრაფო გადაწყვეტილების მიღების დროს თავისი დადგენილება წინასწარ თავდაცვის საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს შეატყობინოს.

უნგრეთის არმიის შემადგენლობა.

ადესა, 15 ოქტომბერი. „ჩერნოვილურ მორგებილიატი“ უნგრეთის არმიის შემადგენლობაზე შემდეგს იუწყება: „ამჟამათ უნგრეთში იყოფება 7 ქვეეთა და 7 ქანდარშთა და 4 რკინის გზის ბათალიონი. საქანდარშო დივიზია სინამდვილეში ქვეეთა ჯარის როლს ასრულებს, სახელი მხოლოდ ნიღბათ აქვს. უნგრეთის არმიის საერთო რიცხვი 120 ათას კაცს უდრის, ე. ი. იმაზე სამჯერ მეტია, რაც საზავო ხელშეკრულების თანახმათ უნდა იყვეს. ტანისამოსს უნგრეთის ჯარი საფრანგეთიდან ღებულობს. ხორტი ავსტრიაში, ჩემოსლოვაკიაში და სამხრეთ სლავიაში მალულათ ყიდულობს საიშარ მასალებს.

გლეხთა სახლი მოსკოვში.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა მოსკოვში მოაწყოს „გლეხთა სახლი“. „გლეხთა სახლ“-ში მოეწყოს უნდა: საერთოთ საცხოვრებელი, ბინები, სასადილოები, საბჭოების და რჩევის ბიუროები, სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, ზამლოთიქა თეატრი, საუდიტორია

ლექციებისთვის და დისპუტებისთვის და სხვა. „გლეხთა სახლის“ მდგომარეობას ჯერჯერობით ვასწევს ერთერთი საბჭოს სახლი.

კომუნისტური სახელმძღვანელოები.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ვინაიდან პარტიულ და საბჭოების სკოლებში ელემენტარული სახელმძღვანელოების საგრძნობი საჭიროებაა, ც. კ. რ. კ. პ.—სა ავალეს ზოგ პასუხისმგებელ ამხანაგს შეადგინოს შკოლისთვის საჭირო სახელმძღვანელოები. ამ ამხანაგებს ნახევრათ ან მთლათ განათავისუფლებენ სხვა მუშაობისგან და ველდებულეობისგან. ეს საქმე დაავალეს შემდეგ ამხანაგებს: 1) ჰუნოვს: „კომუნისტურა პარტიის ისტორია“, 2) ბუხარინს: „ისტორიული მატერიალიზმი“, 3) პაქოვსკის: „მე-3 ნაწილი რუსეთის მოკლე ისტორიისა“, 4) ბუხარინს: „პოლიტიკური პარტიები პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში“ 5) სტიკლოვს: „მუშათა მოძრაობის ისტორია დასავლეთში და „ინტერნაციონალიზმი“, 6) ლუკინს: „საზოგადო ისტორიის მოკლე სახელმძღვანელო“, 7) პრეობრავენსკის: „გლეხობა და კომუნისმი“, 8) სტალინს: „კომუნისტური ტაქტიკის საფუძვლები“, 9) სკვერცოვს: „სარწმუნოებაზე“, 10) ვაროვსკის და ოროლოვსკის: „სიტყვიერების ისტორია“, 11) „საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის მოწყობა“—კოლექტიური შრომა—მილოტინის, რაკოვის, ლარინის, ლომოვის, კრიცმანის მილოტინის პასუხისმგებლობის ქვეშ, და 12) ტომსკის: „პროფესიონალური კავშირები“.

მოხდენილი ფანდები.

მოსკოვი, 15 ოქტ. ჯიოლიტის დეკრეტის გამო „ავანტი“ სწერს: „ჯიოლიტის დეკრეტი ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა-კანტროლის შემოღებისთვის ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოხდენილ ფანდს წარმოადგენს და წმინდა პოლიტიკური მიზანი აქვს—ბურჟუაზიული წყობილების დაცვა. ჯიოლიტის ფანდის მიზანია—აწინდელ მომენტში დაიცვას არა მარტო კაპიტალისტების პოზიციები, არამედ



კონტრევოლუციონური შეთქმულება იტალიაში

ლონდონი, 23 ოქტ. იტალიაში მუშათა წინააღმდეგ სამხედრო შეთქმულება აღმოჩენილია. შეთქმულები ნოემბრის დასაწყისში ლაშქრობდნენ გამოსვლას. შეთქმულების სათავეში დ. ანტონიო არის. იტალიის მუშები იარაღით ხელში ემზადებიან მტრის იერიშისათვის სასიკვდილო მახვილი ჩაეცმას. პროფესიონალიზმი კავშირდება მუშებთან გააფრთხილებს მზა იყვენ თავის უფლებების დასაცავათ.

ჩინეთსა და იაპონიას შორის განხეთქილება

ბერლინი 23 ოქტ. იაპონელებსა და ჩინელებს შორის მდგომარეობა ვარუდით კორეის საზღვრებზე ჯარების გადაყენების გამო.

რუსეთი და ჩინეთი

მოსკოვი, 26 ოქტ. პეკინიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ ჩინეთის კონსული ჩენ-კინ-ძი და ვიცე-კონსული ლიუ-სიო-გინ ჩენ-სიტი. პეკინსულიდან ჩამოვიდნენ შან-ხაისა და სპეკინის გაზეთების თანამშრომლები.

ურთიერთობა ჩინეთთან

მოსკოვი, 26 ოქტ. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა, რომ ვლადივოსტოვიდან რუსეთში გასაგზავნი დეპეშები და რუსეთიდან ვლადივოსტოკში მომავალი, არსდ დაბრუნდნენ.

ხარკოვის საბჭოს არჩევნები

ხარკოვი, 20 ოქტ. მიხდა ქალიქის საბჭოს არჩევნები. ორი მესამედი საბჭოში კომუნისტები გავიდნენ.

ამერიკის პოზიცია

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ამერიკის საზღვაო სამინისტრომ ბრძანება გასცა ბალტიის ზღვაში თავის საზღვაო ძალების მიზნით ნუ გაუფრთხილებიან რუსეთის წყალქვეშა ნაგებს, როგორც მტრებისას, ვინაიდან შეერთებული შტატებში რუსეთთან სომარ განწყობილებაში არ არის.

შრომის ნაყოფიერების ზრდა

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. მეტალისტების კავშირი პირველ დეკემბრიდან მეტალისტების კვირეულს აწყობს. ყველა ქარხნებში მოაწყობენ სამაგალითო ჯგუფებს გაძლიერებული მუშაობისთვის.

საყოველთაო განათლება

ხარკოვი, 26 ოქტომბერი. ხარკოვას გუბერნიას ყველა წერა-კითხვის უცოდინართ 14 წლიდან 25 წლამდე მიზილებიან უშუალოდ და ასწავლიან წერა-კითხვას. ვინც თავის ნებით არ მოდის, ხოლო ვინც თავისი სურვილით ვეწერება სწავლისთვის, მათ შრომის ბეგარისაგან ანთავისუფლებენ.

აიხ. ჯონ-რიდის დასაფლავება

მოსკოვი, 26 ოქტ. კვირას პროლეტარულმა მოსკოვმა ამერიკის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის შესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში—ჯონ-რიდის ცხედარი ზემოთ დასაფლავა. აიხ. რიდმა მთელი თავისი ძალ-ღონე ამერიკის და რუსეთის მუშების დაახლოვებას შესწირა, რათა შეერთებული ძალით სავითო მტერი ბურჟუაზია დაეპარცხონ.

როგორ უნდა გავაფრთხილოთ საბჭოთა ბაზა

მოსკოვი, 26 ოქტ. ვაზ. „ივესტი“ სწერს: „სამოქალაქო თემში ორ ბანაკით გამოიყოფილი საზოგადოება: რევოლუციონერობა, — ო მელიც იბრძვის კომუნისმის გასაწარმოებლათ, რომელიც იცავს თავის არსებობას და კაპიტალისტურ წესებს. დანარჩენი წრეები საზოგადოებისა სოციალისტებისა და ესრებას ბანაკებს ხოლმე მემამულეებს და მეფობრიკებს. ისინი აჯანყებენ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ ჩასუქებულ გლეხობას და მით ხელს უშობავენ კრას ნოვებს, დენიკინებს და ვრანგელებს. ჩვეულებრივ ყველა აჯანყებები „დამფუძნებელი კრებები“ და „ძირ კომუნისტების დიქტატურის“ ლოზუნგებით ხდება. შარშან მოხდა გლეხთა აჯანყებები ესერების და გრატ არლოვ დავიდოვების და მემამულეთა ხროვის ხელმძღვანელობითაც, რომლებიც შემდეგ ლოზუნგებს ქვეშ გვლინებოდნენ ხალხს: „გაუშარჯოს საბჭოებს, გაუშარჯოს ბალშევიკებს, ძირს კომუნისტები“

სარგებლობენ რა გლეხთა შეუფენებლობით და სიბნელით, ეს ვატიკონები არავითარ შესაძლებლობას არ ერიდებიან, ოლინდ კი დაცვენ საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტს და დამარცხონ მუშები და გლეხები.

ისინი სურვილს თუმცა ვერ მიადწევენ, მაგრამ მინც საჭიროა ზომების მიღება ავანტიურების ძირშივე ჩასაქრობათ, რომ არ შეფერხდეს საბჭოთა მთავრობის მუშაობა. უნდა გავაძლიეროთ სოფელ მუშაობა, უნდა მივმართოთ მისკენ საუკეთესო ძალები, ერთხელ კიდევ უნდა ვუჩვენოთ გლეხებს, რომ საბჭოთა მთავრობა, ეს იგივე მათი ინტერესების გამომხატველია და მათი ინტერესებისთვის მებრძოლი მთავრობაა. ჩვენ უნდა განვაგრძოთ სოფელ კომუნისტური მუშაობა, ჩვენ უნდა განვაგრძოთ გლეხების აღზრდა ოქტომბრის რევოლუციისა და კომუნისმის გზით.

ვრანგელი და ყაზახები

მოსკოვი, 26 ოქტ. (რადიო). „პრავდა“, სწერს: „ვრანგელიც, როგორც ყველა მისი წინამორბედი დიდ იმედებს ამყარებს ყაზახებზე რომლებიც ერთ დროს აყვენ ყველა სამხრეთ გვარდიელების დასაყრდნობა ძალა, მაგრამ დღეს ყაზახობა თეთრების ავანტიურის არ გაყვა. ვრანგელის მუშაობის პროგრამაში შედის ყაზახების აჯანყება წითელ არმიისთვის ზურგში, რათა ამით შეასუსტოს ჩვენი ზურგი. აჯანყების იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ, საბჭოთა ძალა უფლება ყაზახების სტანიცებში მხოლოდ ეწყობოდა; მოსული მუშები კიდევ ვერ შეთვისებოდნენ ადგილობრივ პირობებს, და ადგილობრივი მუშაობები კი იყვენ სუსტნი. სარგებლობდნენ რა ასეთ მდგომარეობით ვრანგელის აგენტები ამაუბდნენ აჯანყებას. მაგრამ რამდენაღ დონის ყაზახობა ადვილად უჯანყდებოდა საბჭოთა მთავრობას შარშან, იმდენაღ ახლა მიიღო რა მხედველობაში წარსულის გაკვეთილები, ის უარყოფით უყურებს ვრანგელის დაქირავებულებს.

შემდეგ სტატიაში მოყვანილია მეტათ საინტერესო მაგალითი. სტანიცაში, რომელიც 1918 წ. პირველად აუჯანყდა საბჭოთა მთავრობას, მოვიდა გენერალ ნახაროვის გამოგზავნილი კაცი, რომელიც ამ დროს ამ სტანიცაში უტევდა. მეორე დღეს საბჭოთა თავმჯდომარესთან მივიდა ორი მოხუცებული და უთხრეს: „აი როგორი გაიძვირა მოვიდა ვრანგელისაგან და გვაუფრთხილებ ჩვენ. ჩვენ დიდხანს ვივიჭრეთ აჯანყდით თუ არა და ბოლოს გადაწყვეტით რომ აქედან გამოვა მხოლოდ უმბეღლები და სხვა არაფერი. ყველა ყაზახობა ლაპარაკობს: მოგვებდა ჩვენ ომით დავიქანცეთ და შაქარი ვართ ომი ყელამდით.“

ეს ძალიან საფულისხმეოა. ვრანგელის იმედები გაცრუდა. ის შემდეგ ყუბანგლებთან, მივარდა მაგრამ აქაც დამარცხდა.

საბერძნეთის კაროლის სიკვდილი

ლიონი, 27 ოქტომბერი. ათინაში საბერძნეთის კაროლის სიკვდილის შესახებ ხმა გავრცელდა 17 საათზე.

იონები რიგაში

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. საზოგადოებრივი და ლატვიის დამფუძნებელი კრება დიდი ოინებშია გაერთული რუსეთის კონტრ რევოლუციის აგენტებმა შეიკადნენ ლატვიის ტერიტორიაზე ჯარის კაცთა თავმოყრას ვრანგელის დასახმარებლათ, რამაც ხელს უწყობდნენ მათ ლატვიის მინისტრები. სექტემბრის ბოლოში რწმუნებულ აგენტს-გრაფ ბერმონტს ლატვიიდან გერმანიის საზღვრებში გადასვლისას აუარებელი წერილები აღმოაჩნდა, რომელიც ვრანგელის აგენტს ვარშავაში საინკოვს უნდა მოსვლოდა. ამ წერილების გამგზავნი დერენტალი, საინკოვის საიდუმლო აგენტი აღმოჩნდა ლატვიაში. წერილებში ნახსენები იყო, რომ ლატვიამ არსებობს ბიურო, რომელიც თავს უყრის ვრანგელისთვის ჯარებს. ამ გაწვეულ ჯარის კაცებს ემელამდის გემებით გაზენდნენ, შემდეგ მათ გადაგზავნას პოლონეთის კისრულბდა. შემდეგ დერენტალი აღწერს საიდუმლო თათბირებს, რომელსაც იგი მთავრობის წარმომადგენლებთან და სამხედრო ნაწილების უფროსებთან აწყობდა. იგი აღნიშნავს, რომ ამ თათბირზე ესწრებოდნენ: ულტანისი, მეერო-

ვიჩი, ალმატი და გენერალურ შტაბის უფროსი გენ. რაძინა. ამ წერილებში მოხსენებულია, რომ აგენტებმა თურმე ბევრ რამეში მიადწეეს ვრანგელის საზარგებლოთ ლატვიის მთავრობასთან შეთანხმება. მალდობის ნიშნით ვრანგელი ლატვიას სრულ დამოუკიდებლობას აღუთქვავდა, ხოლო ლიტვის და უკრაინას კი ავტონომიას. ლატვიის პრესა აგრეთვე იმასაც იხსენიებს, რომ 16 ოქტომბრის საგარეო საქმეთა მინისტრის აგენტმა რამოდენიმე წერილი, მთავრობის ბეჭდით შემოწმებული, მიუტანა საინკოვს.

ასეთი ფაქტები, რომელსაც ლატვიის პრესა იტყობინება და რომელიც ჩვენს ქვეყანას ძლიერ აღელვებს.

ამის გამო „ივესტი“ სწერს: „კაპიტალისტური მთავრობები თვითონ არიან დამანაშავნი იმ დანაშაულებებში, რომლებშიც იგი საბჭოთა მთავრობას ამტყუებენ მისგან მის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ყოველ შემთხვევაში, რიგაში ისეთი ძალთა განწყობილებაა, რომ ლატვიის მინისტრებს ძვირათ დაუჯდებოდა საზოგადოებრივების დარღვევა და ანტი-ნტის და ვრანგელის აგენტობა.

რუსეთ-პოლონეთის ზავის რატიფიკაცია

მოსკოვი, 26 ოქტ. (რადიო). „პრავდა“ სწერს: „სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიამ გუშინ დაამტკიცა დროებითი ზავი პოლონეთთან და საზოგადოებრივებზე ფინლიანდისთან. ვკრავთ რა მათთვის სასარგებლო ზავს პოლონეთის პანეთთან, ჩვენ მინც ვართ ღარწმუნებულნი, რომ ის ხელს ჩვენ წინააღმდეგ არ ამხედრებს ბალსოვიჩის ძალებს.

ტყუილად კი არ უთქვამს მოურიდებლად თეთრ-პანურ მთავრობის ცნობილ წარმომადგენელს, პეტლიურის დამოუკიდებელ ბრძოლას ბალშევიკების წინააღმდეგ. პოლონეთის პანები მზად არიან ყოველ წუთს დაეხმარონ ყველა ანტი-ბალშევიკურ ძალებს. მაგრამ ძალიან ძნელად შეძლებენ ისინი თავის ძალებით შემოტევას; პანები ძალიან გახარებული იქნებიან ამაზე, მაგრამ მუშები მათ არ უშვებენ. ხშირად ეწყობა აჯანყებები პოლონეთში და დემონსტრაციები შებრძოლ პანების წინააღმდეგ. ყველა ჩვენი იარაღი უნდა მიმართული იქნას სამხრეთისაკენ, ვრანგელის წინააღმდეგ, ჩვენ უნდა მოვსპოთ აუტანელი შავრანგელი.

წინასწარი ზავი პოლონეთთან მტკიცეა გაუმარჯოს ჩვენ გამარჯვებას ვრანგელზე.

კორიელების ხმა

ბაქო, 26 ოქტ. აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდის და მოქმედების საბჭომ მიიღო მისალოცი დეპეშა სრულიად რუსეთის კორიელ მუშების და რევოლუციონერ ორგანიზაციების პირველ ყოვლიდან. ყრბობა აცხადებს სრულ ხელშეწყობას იბრძოლოს აღმოსავლეთ ხალხებთან და დასავლეთ პროლეტარიატთან ერთად, რომ გაანთავისუფლოს მრავალტანჯული აღმოსავლეთი და მთელი ქვეყანა კაპიტალისტურ უღლისაგან პარტიული მუშაობა ადგილებიდან.

სოფლებში

ბაქო, 26 ოქტ. დაიწყო გლეხის კვირა. ადერბეიჯანის კომუნისტურმა პარტიამ, ამოკანებულ თუ როგორ მოაწყოს პარტიული მუშაობა სოფლებში, დაადგინა მოაწყოს სოფლებში ლატაკია კომიტეტები და გაატაროს სოფლებში კლასობრივი დიფერენციაცია.

სასურსათო კომპანიის საკითხზე დაადგინა, მიიღონ გადაწყვეტი ზომები საინკოვის დასაგროვებლათ ენერგიულად გაატაროს სურსათის დამზადების საქმი. აისათვის დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნილი იქნას სოფლებში, მარილი, ნავთი, საპონი და შაქარი. დეკრბაილის სამაზრო კონფერენციაზე, სოფლებში მუშაობის შესახებ, დაადგინეს გაძლიერებ სოფლებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, მიიღონ ზომები, რათა საჩქაროთ იქმნას აღმოსავლეთი სოფლებში გაუნათლებლობა. დაავალდებულონ კულაკები რათი მისკენ ჯარისათვის საჭირო საგნები და შენობები იქნას სასტიკი კანტროლი „კომინაჩიკების“ სოფლების რეკომპობზე.

უპანასკნელი ცნობები

სამხ. ოპერატ. 25 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოლუციონერების“ სავლელ შტაბისა.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი.

ვირიშის ფრონტი.

ორიბოვის რაიონში ჩვენ გულია-პოლედვიკავით. ბერდიანსკის რაიონში ჩვენ ბრძოლით სოფ. ბერესტოვოდ დავიკავეთ და მდ. ბერდაზე მივალწიეთ. ჩვენს ნოვოსპასოვსკაია და პეტროვსკაია დავიკავეთ.

რევოლუციონური მოძრაობა იტალიაში.

მოსკოვი, 26 ოქტ. მუშათა მღელვარება იტალიაში გრძელდება. მილანში ჯარებთან შეტაკება მოხდა. ფიუმეში ბურჟუაზიის მომხრეებმა სოციალიატების ბიურო დაარსეს. ბრესტში პოლიციელებისა და მანიფესტანტებ შორის შეტაკება მოხდა. ბოლოში მანიფესტანტებმა ყაზარმები დაანგრეს. მანიფესტანტები კიბეებს მისცივდნენ პოლიტიკურ პარტიების გასანთავისუფლებლათ; მათ ჯარის კაცებმა სროლა აუტყეს, მოკლულია რამოდენიმე კაცი. ტრიესტში და პალერმოში გაფიცვები გამოცხადდა. ყოველგან საბჭოთა რუსეთისადმი თანაგრძობის გამოსახატება იწყობა იტალიის პროლეტარიატის მიერ მღელვარე მანიფესტაციები.

ერთა ლიგას ბომბებით დევნიან.

მოსკოვი, 26 ოქტ. მილანში იმ სასტუმროში, სადაც იმყოფებოდნენ იტალიის და საფრანგეთის დელეგატები ერთა ლიგის, ბომბები შეყარეს. ექვებით ბრალს ანარქისტებს სდებენ.

ლატვია და ვრანგელი.

მოსკოვი, 26 ოქტ. რიგიდან იუწყებიან: „აღმოჩენილია საიდუმლო კავშირი, გენ. ვრანგელისა და ლატვიის მთავრობას შორის დადებული.“

გაფიცვები ინგლისში.

მოსკოვი, 26 ოქტ. ინგლისში გაფიცვები იზრდება. ათასზე მეტი სამრეწველო დაწესებულებები დაუქმებულადმდგარია.

გაფიცულთა რიცხვი ერთ ნახევარ მილიონს აღემატება.

შეშთა დამოუკიდებელი პარტია მოულოდნელ მუშათა კავშირებს სასწრაფო გადაწყვეტილების და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის განგრძობისათვის გამოსამუშავებლათ სავანებო კვებისა აირჩიონ.

საყოველთაო გაფიცვების მუქარა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 26 ოქტ. ინგლისის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმა სასწრაფო მოთხოვნები წარუდგინეს მთავრობას. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვები. ინგლისის მალარობებს მუშები არა მარტო დღიურ ხელფასის გადიდებას მოითხოვენ, არამედ მალარობებში მუშათა კანტროლის შემოღებასაც.

იყრებიან!

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. ინგლისის მთავრობამ სამხედრო ძალებს მცველობის ქვეშ ლონდონიდან პროვინციაში გასავალათ ზომები მიიღო.

პროლეტარული სოლიდარობა.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. საფრანგეთის და გერმანიის მთამადნებზე მომუშავეებმა განაცხადეს, რომ ყოველი ძალ-ღონით დაუპყრენ მხარს ინგლისის მუშებს.

ახალი გაფიცვები გერმანიაში.

მოსკოვი, 26 ოქტ. ბრემენში სახელმწიფო ქარხნებში გაფიცვები დაიწყო. მისთან გაფიცული არიან ქალაქის სამრეწველო დაწესებულებები.

კომუნისტები ბულგარეთში.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. ბულგარეთის სოციალისტების მემარცხენე ფრთა ბულგარეთის კომუნისტებთან მოლაპარაკებას აწარმოებს ერთიან კომუნისტურ პარტიის შესაქმნელათ.

გაფიცვები ინგლისის ქვანახშირის მალარობებში.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. ინგლისის გაზეთები გაფიცვების შესახებ ცნობებით და სტატიებით აქრელებულია. „დეილი გეოგრაფი“ მოწინავეში სწერია: „ჩვენ ნიდავც სახრლათ და სანა-

ნებლათ ვაგვიდა საქმე პრემიერ-მინისტრის ლოდ-ჯორჯის შეცდომების წყალობით. ქვეყანას ნახშირი ესაკიროება. ყველამ მშვენივრათ იცის, რომ არა ლოდ-ჯორჯი თავისი მინისტრებით, არამედ მალაროს მუშები მისცივენ ქვეყანას ნახშირს. გაფიცვების ოთხი დღის განმავლობაში 3 მილიონ ტონ ნახშირის საჭიროება დაიბადა.

პროფესიონალურ კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. პროფესიონალურ კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია გაიხსნება მოსკოვში ნოემბრის დასაწყისში.

დახმარება წითელ ფრონტს.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. კაზლოვში კომუნისტურმა ორგანიზაციამ დაადგინა თავისი წევრების ფესაკმელები ფრონტზე გაუგზავნოს წითელ არმიას. ფესაკმელების საკეთებელმა სახელოსნომ 10 საათის სამუშაო დღე დააწესა. ერთი კვირის განმავლობაში მკერავი კომუნისტი ქალები ათას წყვილ საცვლებს ამზადებენ.

მოსხლისე ცნობები.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. ხარკოვში ზემოთ გააცოლეს ფრონტზე მიმავალი ცხენისათა პოლიკ, რომელიც ღარიბ სოფლებსიგან შეუღა.

ბუდიონელები ვრანგელის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. ყორომის ფრონტის შტაბი. აშხ. კამენევმა, ვირო-მილოვმა და ბუდიონმა ინხულეს წითელ ცხენისათა არმია. ცხენისათა არმიის გმირებმა დიდი აღფრთოვანებით გამოიტანეს შედგირი რეზოლუცია: „ჩვენ გადავწყვიტეთ ერთხელ და სამუდამოთ შევებუსროთ ბარონ ვრანგელის ბანდები.“

ახალი ამბები

— უცხოეთის კაპიტალისტები ჩვენში. იტალიის პოლიტიკურ მისიის საშუალებით ფინანსთა სამინისტრომ რამდენად იტალიის საგარეო მინისტრის სფორცასაგან მიიღო ცნობა იტალიის მიერ გვარჯილის ქვანახშირის კონცესიაზე ხელის მოწერის შესახებ. იტალიას აზრათ აქვს დაუყოვნებლად გაიგზავნოს საქართველოში მოსამსახურეთა საწარმო და საწარმოვე მანქანები. თუ ზამთარმა არ შეუშალათ ხელი წინასწარი მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყება.

— მუშათა მაგიდა. მუშათა მაგიდა აცხადებს იმ პირობა სისას, რომლებიც მომარაგების ფონდიდან პურს და სხვა სურსათს ორ ადგილიდან ღებულობდნენ: 1) მართა ალექსანდრეს ასული ბორიცივია, 2) ელისა კონსტანტინეს ასული ქუქოვა, ელენე პეტრეს ასული ფალავანდიშვილი, 4) კოტე გიორგაძე ფოცხვერაშვილი, 5) მარიამ ალექსის ასული ფოგვარცი, 6) ოუსტინე ირაკლის ასული აბულაძე, 7) მარიამ კოსტას ასული ფარისაშვილი, 8) თულია ნიკოლოზის ასული ფავლენიშვილი, 9) იოსებ ალექსანდრეს ძე ძნელაძე, 10) კონსტანტინე გაბრიელის ძე უშაკივი, 11) იოსებ მაქსიმეს ძე ძნელაძე, 12) ვალერიანი კონსტანტინეს ძე ხარჩალოვი, 13) არტემ ხარბილის ძე ასატუროვი, 14) ალექსანდრე ივანეს ძე მარტინენკო, 15) შალვა მიქელაძე, 16) ივანე მალაქიას ძე მუსირიძე, 17) მარიამ ილიას ასული მრევილიშვილი, 18) ბარბარე სტეფანეს ასული მხითაროვი, ეს პირები გარდა ამისა, რომ სურსათს დაკარგავენ მიცემულნი იქნებიან პასუხის გეზაში.

— კონფლიქტი გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრაციის შორის. შრომის სამინისტრომ განიხილა რა გიგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრაციის შორის მომხდარი კონფლიქტი შემდეგ დასკვნამდის მივიდა: შტატის შემოკლების გამო მოსამსახურეები დაითხოვა ქალაქის საბჭომ, ამიტომ მუშებმა სალიკვიდაცია ფული მასვე უნდა მისთხოვონ, 2) საბჭომ უნდა მისცეს მუშებს ფული თავის თანხიდან, თუ ის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, თუ არ არის გათვალისწინებული მაშინ ჯილდოს იხდის მესაკუთრე. შრომის სამინისტრო სთხოვს საბჭოს გაუწიოს მუშებს. თვით კონფლიქტი განსახილველათ გადაეცა მთავრობას, რომელმაც თავის მხრივ იგი დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროს გადასცა.

